

შპს “ქართლის ქარის ელექტროსადგური”



ბაზრის კვლევა

საკონსულტაციო მომსახურება

სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდისა“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის N 1257 განკარგულების სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდისა“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ“ საფუძველზე, შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ პარტნიორებმა, სს „ენერჯეტიკის განვითარების ფონდისა“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ მიღეს პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილება შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ სააქციო საზოგადოებად გარდაქმნისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით. კერძოდ, პარტნიორები უზრუნველყოფენ მათი კუთვნილი აქციების საჯარო შეთავაზებასთან დაკავშირებულ პირველად ღონისძიებების გატარებას. პარტნიორებმა შეიმუშავეს ტექნიკური დავალება რომლის საფუძველზეც მოახდენენ ფინანსური და იურიდიული მოსახურების შესყიდვას - რომლის მიზანიც იქნება შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ სააქციო საზოგადოებად გარდაქმნისათვის განსახორციელებელ ყველა საჭირო ღონისძიებას გათვალისწინებას და ფასის განსაზღვრას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტექნიკური დავალების შეთანხმება საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსთან (იხ.დანართი) ასევე მოლაპარაკება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, ვინაიდან ზემოაღნიშნული პროექტის ნაწილი დაფინანსებულია ბანკის მიერ.

ტექნიკური დავალება

შესყიდვის მიზანია კონსულტანტის შერჩევა, რომელიც საკონსულტაციო მომსახურებას გაუწევს სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდსა“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული როგორც „პარტნიორები“) შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ (შემდგომში: „საზოგადოება“) რეორგანიზაციისა და „საზოგადოებაში“ „პარტნიორების“ კუთვნილი აქციების პირველადი საჯარო შემოთავაზების პროცესთან დაკავშირებით. საკონსულტაციო მომსახურება (შემდგომში: „მომსახურება“) მოიცავს:

1. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის N1257 განკარგულების მოთხოვნათა შესასრულებლად „საზოგადოებაში“ „პარტნიორების“ კუთვნილი აქციების პირველად საჯარო შემოთავაზებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების მიზნით:
 - 1.1 ქართლის ქარის ელექტროსადგურის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ და/ან „საზოგადოების“ მიერ ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებების და კანონმდებლობის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, რაზედაც კონსულტანტმა „პარტიორებს“ და „საზოგადოებას“ უნდა მიაწოდოს დეტალურად დასაბუთებული მემორანდუმი;
 - 1.2 ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (შემდგომში: „ბანკი“) შესაბამისი მოლაპარაკებების გამართვა და აქციების საჯარო შემოთავაზების განხორციელების წესისა და პირობების შეთანხმება. „ბანკთან“ გამართული მოლაპარაკებების შედეგები და კონსულტანტის შესაბამისი რეკომენდაციები „ბანკთან“ ურთიერთობის სტრატეგიის თაობაზე ასახული და დეტალურად დასაბუთებული უნდა იქნას კონსულტანტის მიერ მომზადებულ დასაბუთებულ ანგარიშში;
 - 1.3 „საზოგადოების“ სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის და „საზოგადოებაში“ „პარტნიორების“ კუთვნილი აქციების პირველადი საჯარო შემოთავაზების ოპტიმალური მოდელის შერჩევა და „პარტნიორებთან“ შეთანხმება. აღნიშნული მიმართულებით კონსულტანტის მუშაობის შედეგები ასახული და დეტალურად დასაბუთებული უნდა იქნას კონსულტანტის მიერ მომზადებულ დასაბუთებულ ანგარიშში;
- 1.4 ტექნიკური დავალების პირველ პუნქტში განსაზღვრული ამოცანების განხორციელების მიზნით აუცილებელი ნორმატიული აქტების და

- ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და შესაბამის მოლაპარაკებებში მონაწილეობა;
- 1.5 შერჩეულ საბროკერო კომპანიასთან და „პარტნიორებთან“ ერთად აქციების პირველადი საჯარო შემოთავაზების საბოლოო მოდელის შერჩევა და EBRD-ან მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ შესაბამისი სამართლებრივი დასკვნის მომზადება.
 2. აქციების განთავსებისა და შესაბამისი საბროკერო კომპანიის შერჩევის მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და აგრეთვე, ტენდერის ჩატარების, გამარჯვებულის გამოვლენისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით „პარტნიორებისთვის“ შესაბამისი მხარდაჭერის აღმოჩენა.
 3. „მომსახურების“ გაწევის პროცესში კონსულტანტმა უნდა გაითვალისწინოს სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ სამართლებრივი, ფინანსური და ტექნიკური მოთხოვნები.
 4. ზემოაღნიშნული მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისად:

მოწვევა ბაზრის კვლევაში მონაწილეობის მისაღებად

შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ აცხადებს ბაზრის კვლევას საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე, რომელიც გულისხმობს კონსულტაციას შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგურის“ (შემდგომში: „საზოგადოება“) რეორგანიზაციისა და „საზოგადოებაში“ სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდისა“ და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული როგორც „პარტნიორები“) კუთვნილი აქციების პირველადი საჯარო შემოთავაზების პროცესთან დაკავშირებით.

1. ბაზრის კვლევის შედეგად, ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია:

1.1 კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის:

1.1.1 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

1.1.2 ცნობა საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ან მსგავსი დაწესებულება);

1.1.3 ტენდერში მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია: მისამართი, ელ-ფოსტა, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონი ან ფაქსი.

1.2 საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის

1.2.1 ცნობა საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ან მსგავსი დაწესებულება)

1.2.2 ტენდერში მონაწილეთა ინფორმაცია: მისამართი, ელ-ფოსტა, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონი ან ფაქსი.

1.3 არარეზიდენტი პირისთვის

1.3.1 თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერის შესატყვისი დოკუმენტი, უცხო ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტს თან უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, საკვალიფიკაციო დოკუმენტები

გაცემული უნდა იყოს ელექტრონულ ტენდერში წინადადების მიღების ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 დღისა.

1.3.2 ტენდერში მონაწილეთა ინფორმაცია: მისამართი, ელ-ფოსტა, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონი ან ფაქსი.

1.4 წარმომადგენლობისთვის/ფილიალისთვის

1.4.1 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

1.4.2 ცნობა საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ან მსგავსი დაწესებულება)

1.4.3 ტენდერში მონაწილეთა ინფორმაცია: მისამართი, ელ-ფოსტა, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონი ან ფაქსი.

შენიშვნა:

- ტენდერში მონაწილეებს არ უნდა გააჩნდეთ ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა.
- პრეტენდენტის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ელექტრონულ ტენდერში წინადადებების მიღების ეტაპის დაწყების შემდეგ.
- ქვეკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, ტენდერში მონაწილე სუბიექტი ვალდებულია სატენდერო წინადადებასთან ერთად დამატებით წარმოადგინოს ქვეკონტრაქტორის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2. მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

2.1 პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს და უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები/ინფორმაცია სატენდერო წინადადებასთან ერთად:

- 2.1.1 პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს იურიდიული პირის რეორგანიზაციის (შპს-ს გარდაქმნა სააქციო საზოგადოებად) გამოცდილება.
- 2.1.2 პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს საფონდო ბირჟაზე სააქციო საზოგადოების აქციების პირველადი საჯარო შეთავაზების უზრუნველყოფის გამოცდილება.
- 2.1.3 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, ტექნიკურ დავალებაში მოცემული მომსახურების მსგავსი არანაკლებ 2 ჩატარებული მომსახურების ამსახველი დოკუმენტი და დამკვეთი პირებისგან მიღებული სარეკომენდაციო წერილები.

3. მოთხოვნა პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ

- 3.1 პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია გუნდის შესახებ ქვემოთ მოცემული მოთხოვნების შესაბამისად
 - 3.1.1 გუნდი დაკომპლექტებული უნდა იყოს გუნდის ხელმძღვანელისგან (რომელიც შეასრულებს პროექტის მენეჯერის ფუნქციას) და მინიმუმ 2 ან მეტი იურისტისგან (თითოეული მათგანს უნდა გააჩნდეს იურისტად მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება) წინამდებარე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული დავალებების განხორციელების მიზნით. გუნდის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება.

4. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის გაუთვალისწინებლობის დასაბუთება

- 4.1 ვინაიდან აღნიშნული ტენდერით ხდება ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა, ხოლო მისი შეფასების კრიტერიუმები და ფასწარმოქმნის დასაბუთების სტანდარტი რთული დასადგენია, სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია არ მოითხოვოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების დოკუმენტი თუ ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე.

5. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

- 5.1 ხელშეკრულებაში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის (საბანკო გარანტია) შემდეგი პირობები:
- 5.1.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, საბანკო გარანტია (ხელშეკრულების ღირებულების ---%) რომელიც წარმოდგენილია მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება შემდეგ შემთხვევებში თუ:
- ა) მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების გაწევის ვადა ირღვევა 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში.
- ბ) მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
- 5.1.2 6.1.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემსყიდველი საბანკო გარანტიის საფუძველზე უპირობოდ და შეუქცევადად იღებს მთელ გარანტირებულ თანხას (ხელშეკრულების ღირებულების --%).
- 5.1.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის (საბანკო გარანტიის) გამოყენება არ ათავისუფლებს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებებისაგან.

6. ანგარიშსწორების პირობები

- 6.1 პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია წინასწარ გადასახდელი თანხის (ავანსის) მოთხოვნის შესახებ (სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 20%-სა)
- 6.2 იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ (სატენდერო წინადადებაში) არ იქნება ატვირთული ინფორმაცია ავანსის მოთხოვნის შესახებ ჩაითვლება, რომ პრეტენდენტი არ ითხოვს ავანსს და საავანსო თანხა არ იქნება გათვალისწინებული ხელშეკრულებაში.

- 6.3 იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ მოთხოვნილი იქნა საავანსო გადახდა, შემსყიდველი მიმწოდებელს უხდის საავანსო თანხას („ხელშეკრულების ღირებულების“ არაუმეტეს 20%-ისა). მიმწოდებლის მხრიდან შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით მეტი ვადით.
- 6.4 რეზიდენტი „მიმწოდებლის“ შემთხვევაში საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოში ლიცენზირებული ბანკიდან. საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე არანაკლებ 30 კალენდარული დღით მეტი ვადით.
- 6.5 არარეზიდენტი „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს სს ----- (ბანკის კოდი: -----) მიერ დამოწმებული საბანკო გარანტია. საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე არანაკლებ 30 კალენდარული დღით მეტი ვადით.
7. ქვეკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, ტენდერში მონაწილე სუბიექტი ვალდებულია სატენდერო წინადადებასთან ერთად დამატებით წარმოადგინოს ქვეკონტრაქტორის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
8. სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დედანის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე.
9. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმან(ებ)ი.
10. ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანებს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
11. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

